საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №191/04
2020 წლის 27 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 23/06/2017; ს/კ: 220020000.18.011.016245) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბანკები ვალდებული არიან 2020 წლის 30 სექტემბრამდე უზრუნველყონ ამ წესის მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გამჟღავნების მოთხოვნების ეფექტური შესრულება, რომლის გამოქვეყნება საანგარიშგებო კვარტლის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში არ ეკისრებათ. ბანკები ვალდებულნი არიან ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კვარტალური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოაქვეყნონ იმავე ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში, მხოლოდ 2020 წლის მე-4 კვარტლის კვარტალური ანგარიშგების გათვალისწინებით.“.

2. მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**